

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

გაზეთი 24 საათი

სამგაბათი, 2 ნოემბერი, 2004 წელი, №260 (809)

ფასი 50 თეთრი

აქრონოქა

საბაჟო დეპარტამენტის ტაქსისი ვრცელდება დავალებას ასრულებს



ინფორმაცია გიორგი გოდარელიძის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ, რომელიც არაერთხელ გაერცვლა საინფორმაციო საშუალებებში, ჩანს, მართლაც გადაჭარბებული აღმოჩნდა - საბაჟო დეპარტამენტმა თვის დასაწყისში პრეზიდენტისგან მიღებული დავალება შესრულა და იანვარ-ოქტომბრის გეგმას 35 მილიონ 445 ათასი ლარით გადააჭარბა.

A4

უცხოეთი

უკრაინა - ოლიგარქებისა და სამოქალაქო საზოგადოების დავიკრიტიკების მოედანი



ჯერ კიდევ არჩევნებამდე კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა უკრაინაში სამართლიანი არჩევნების ჩატარება, რაც საბოლოო ჯამში გამოარტყდა კიდევ.

A5

საზოგადოება

კობა ნარჩემაშვილი საპრობლემატიკო დარა



კობა ნარჩემაშვილი ამჯერად უკვე საბოლოოდ მიიღო საპრობლემატიკო სამთვინი ცხოვრების გარანტია.

A6

იარაღიანი ომის ,,გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ანონსიკლება პრეზიდენტს, რომლის მიზანსაც ნარჩემაშვილის მოსახლეობისათვის საპრობლემატიკო დავალება.

A7

აინდი

	2/11	3/11
თბილისი	20 ☁	18 ☁
ქუთაისი	22 ☁	19 ☁
ბათუმი	23 ☁	17 ☁
სოხუმი	20 ☁	15 ☁
ფოთი	23 ☁	18 ☁
თელავი	18 ☁	14 ☁
ზუბდიდი	22 ☁	19 ☁
გორი	16 ☁	13 ☁
ახმეტა	18 ☁	14 ☁
ქიანთარა	19 ☁	16 ☁

უცხოური ვალუტის ოფიციალური კარსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8175
ევრო	2.3155
გირვანქა სტერლ.	3.3288
რუბლი	0.0632

კენთან "გაკვირების" სავდრანი ოდისა

გიორგი ასანიშვილი

"როდესაც სხვა მანქანებს დაუბრკოლებლად ატარებენ, ამას, ნეტავ, ვიღასი ინტერესებია?" - პარლამენტარის შეკითხვა გუბერნატორს.

სოფელ კეხვის საგუგავოსთან ქართველ სამართალდამცველებს სამი დღის განმავლობაში გაჩერებული ჰყავდათ ხუთი ავტობუსი, რომელ-

თა მგზავრებსაც გადაადგილების საშუალებას არ აძლევდნენ. მიზეზად სახელდებოდა ის ფაქტი, რომ ლიხვის ხეობაში ისინი როკის გვირგვინის გაფლანგვის შემთხვევაში, სადაც ოფიციალური საკონტროლო-გამგებები პუნქტი არ არსებობს.

მდგომარეობა გუშინ განსაკუთრებით მას შემდეგ დაიძაბა, როდესაც მგზავრებმა გადაწყვიტეს, ადგილობრივ ხელისუფალთა და სამართალდამცავთა მოთხოვნებს არ

დამორჩილებოდნენ და ძალით მოინდომეს გზის გაგრძელება. შემთხვევის ადგილზე მყოფი სახალხო დამცველის, სოზარ სუბარისა და პარლამენტარ ვასილ მაღლაფერიძის ძალისხმევით მოხერხდა მასობრივი არეულობის თავიდან აცილება, თუმცა ზოგიერთი მოქალაქე მაინც დაზარალდა. როგორც სახალხო დამცველის ოფისში აცხადებენ, ცეცხლსასროლი იარაღის კონდახის თვალში ჩარტყმის შედეგად, სამართალდამ-

ცავებმა სხეულის განზრახ მიიმე დაზიანება მიყენეს მე-ვლედ ჯოხარიძეს, რომელმაც მხედველობა დაკარგა.

დაძაბული სიტუაცია ბოლოს მაინც განიმუხტა და ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა: საღამოს ხუთივე ავტობუსის მგზავრებს გზის გაგრძელების ნება მისცეს და ისინი გორში ჩაიყვანეს, სადაც ტვირთი შეუმონწეს და საქონელი განაბაჟებინეს.

ბაზრქალაზა A3 ბავრძო

უკრაინის არჩევნები სართაგორისო სტანდარტებს არ შეესაბამებოდა



ნიკა თარაგვილი

უკრაინაში 31 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებმა ხმაურით, მაგრამ მასობრივი შეტაკებების გარეშე ჩაიარა. ორშაბათს კი დასავლელი დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ ჩატარებული საარჩევნო პროცესი არ შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს.

"ჩვენ იმ დასკვნამდე მივღეთ, რომ 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნები არ პასუხობდა მთელ რიგ დადგენილ ნიშნებს, - კიევში გამართულ პრესკონფერენციაზე ამბობს ეუთოს-ს საპარლამენტ-

ტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი ბრიუს ჯორჯი, - 2002 წლის (საპარლამენტო) არჩევნებთან შედარებით აშკარად უკან გადადგმული ნაბიჯია."

ბაზრქალაზა A3 ბავრძო

"ყველას საქციელზე პასუხს ვერ ვაბეზ"



ნანა ქადაგიშვილი

თბილისის საკრებულოს წევრთა ნაწილი კარგა ხანია, ქალაქის პრემიერისგან განუყოფელი საქმიანობის შესახებ ანგარიშს ჩაბარებასა და საქალაქო სამსახურების ზოგიერთი ყოფილი ხელმძღვანელის ნაშრომებზე პასუხისმგებლობის აღებას მოითხოვს. ბიძინა ბრეგვაძე საკრებულოს წინაშე კვირის ბოლოს წარდგება. მისი ანგარიშის შესახებ გარკვეულ ინფორმაციას ჩვენ წინასწარ მოგაწვდით.

- თქვენი პრემიერად დანიშნვის შემდეგ ექვსი თვე გავიდა. ნახევარ წელიწადში რაში დაეცა დედაქალაქის ახალი ხელისუფლების ხელი? - უპირველესად, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სანამ მე დავინიშნებოდი, თბილისის ცხრა თვის განმავლობაში პრემიერი არ ჰყოლია. ძველი ხელი-

სუფლების უმოქმედობისა და შემდეგ უხელისუფლობის გავიდა. ნახევარ წელიწადში უამრავი პრობლემა დაგროვდა. ამ პრობლემათაგან პრეზიდენტმა, უპირველესად, გზების, შექნიშების აღდგენა და ახალი ავტობუსების ჩამოყვანა დაგვავალა.

ბაზრქალაზა A3 ბავრძო

ნითელ ხიდაჯი ქაოსი ბრქალაზა

ვახტანგისის სასაზღვრო პუნქტში 1999 წლიდან არაფერი იყო რეგისტრირებული

ბაი აოსიაშვილი

ქვემო ქართლის უშიშროების სამსახურის სამსახურის ინფორმაციით, ბოლო დღეებში აზერბაიჯანიდან მომავალი და ნითელი ხიდის სასაზღვრო პუნქტის მიმდებარე ნეიტრალურ ზონაში გაჩერებული ავტობუსების რაოდენობა კატასტროფულად გაიზარდა. ამავდროულად ცნობით, ჯერ კიდევ გუშინ იქ გაჩერებული იყო 78 ავტობუსი, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლას, რატომღაც, არ ჩქარობენ. მიზეზი მარტივია - ბაჟის გადახდის აუცილებლობა.

ქვემო ქართლის უშიშროების სამსახურის წარმომადგენელი გელა ჯანაღია აცხადებს, რომ 22 დღეში, მათი უშუალო ძალისხმევით, საზღვრიდან ბიუჯეტში 78 ათასი ლარი შევიდა. მისივე თქმით, საზღვრის დაცვა ამ რეგიონის ზოგიერთ ნაწილში სიმბოლურ სახეს ატარებს.

ბაზრქალაზა A3 ბავრძო

მორიბი სქანდალი ფოთის მერის ნინაღვა

ვახტანგ ალანია პარლამენტის თავმჯდომარის სახელით სპეკულირებს

ქეთიონე ჭაქოზია ფოთიდან

მიმდინარე წლის მისიმი საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მალაღობიანი რეგიონების კომიტეტმა შექმნა მუშა გეგმა, რომელმაც ქ. ფოთის სტატუსის შესახებ კანონპროექტი უნდა მოამზადოს. საქართველოს პარლამენტის ბიურომ აღნიშნულ ინიციატივას მხარი დაუჭირა და დასაბუთებული კანონპროექტის წარდგენის იმედით გამოთქვა. მისივე პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ფოთის მერსა და საკრებულოს თავმჯდომარეს ნერილობით აცნობებს, რომ "საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია ფოთის მოსახლეობასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობის გარეშე". აქვე იგი ქალაქის მთავრობას ხელშეწყობასა და ჯგუფის საქმიანობაში მონაწილეობას ავალბებს.

ფოთის მერმა ვახტანგ ალანია, ვისაც უკვე არაერთი კონკრეტული ფაქტით ედავებოდა საბიუჯეტო სახსრების თვითნებურ განკარგვას, პარლამენტის თავმჯდომარის ნერილობით გარისკა მანევრირება და იგი ქალაქის ყულაბიდან თანხის გადინების წყაროდ გამოიყენა. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის ნინო ბურჯანაძე დაფინანსებაზე არსად საუბრობს, ალანია შესასრულებელ სამუშაოს 80 ათას ლარად აფასებს და ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას იღებს, პირადი ადვოკატის ფირმის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვასთან დაკავშირებით.

ფაქტი პირველი: 2004 წლის 23 ივლისს გაფორმდა ნარდობის ხელშეკრულება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს) "იაკობიძის, უგოშვილისა და სანიკიძის ინტელექტუალური მომსახურების ოფისთან", რომელსაც, ერთი მხრივ, ფოთის მთავრობა, ვახტანგ ალანიას სახით, აწერს ხელს და, მეორე მხრივ, პარტნიორი ვლადიმერ სანიკიძე (ეს უკანასკნელი სწორედ ის ადვოკატია,

ბაზრქალაზა A2 ბავრძო

აზიანდას ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო". პროექტს ახორციელებს გაზეთი "24 საათი"

კანონი უზენაესია

"არ ვიცი, ვის ვკითხო. ნაწილისგან მესმის, რომ "ძალიან ცუდი საქციელია" კაცი ჩაუშვა", თუნდაც ქრთამს გაძღვევდესო. უთხარი რომ წაიღოს თავისი საჩუქარი, თუ გინდა ცემე და მორჩი". ნაწილი იმას ამბობს, როგორ შეიძლება გამგებელმა ძვირფასი ნივთი აჩუქოს ქალაქის მერსო, მაგათ თუ ჭკუა არ ასწავლე ვერ მორჩებიან აღებ-მიცემასო. მე კი იმას ვფიქრობ, რომ პრეზიდენტს არ უნდა ეჩუქებინა სათი მერისთვის და ამით ჩამშვებები არ უნდა წაექეზებინა. ამას წინათ მეც ცუდ დღეში ჩავვარდი - მეგობარი მართალი არ იყო. დაზარალდა სხვა. რა ვქნა, ისიც მეცოდება და ჩემს მეგობარსაც ვერ ჩავუშვებ. იქნებ მე მოვაგვარო ისე, რომ არავინ ჩავრიო?!

კარგი იქნება, რომ ამ ჩამშვება - არჩამშვებაზე გვესაუბრა ერთერთი შეხვედრაზე." - რედაქციამ ელექტროფოსტით წერლი მიიღო.

ვიდრე "კანონიერების კულტურის" ფორმატში შეხვედრას მოვაწყობდეთ, ჩვენს არქივში არის საუბრის ჩანაწერი სწორედ ამ თემაზე და სწორედ დღევანდელ ქალაქის მერთან ზურაბ ჭიაბერაშვილთან, როცა იგი ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნების" აღმასრულებელი დირექტორი იყო და პროექტის მონაწილე მოსწავლეებს შეხვდა.

ძნელი არ არის, რომ სიტყვიერად ამტკიცო კანონის უზენაესობა. ძნელია, რომ პიროვნულად დაცვა ეს პრინციპი. მოსწავლეები მსჯელობენ განვითარებულ და განუვითარებულ საზოგადოებაზე. ზოგჯერ ჩიხშიც ექცევიან: როგორ შეიძლება, კანონიერება მამის ან მეგობრის "ჩამშვებას" მოითხოვდეს?! (რედ.)

ზურაბ ჭიაბერაშვილი - მოგიყვებით ერთ შემთხვევას: "10 წლის შვილი ეკითხება დედას - მამა ხომ დირექტორია და რატომ არა აქვს ბევრი ფული? - ჩვენ ხომ საქმელი არ გვაკლია, შენ სწავლობ, შენთვის საკმაოდ ძვირიან წიგნებსაც ვყიდულობთ... - მანქანა? - ამდენი ფული მართლა არა გვაქვს, რა ქნას, მოიპაროს? - მერე რა, მოიპაროს... ნაფა და მოინანიებს." ამ საუბარს მამაც ესწრებოდა - იქვე მაგიდასთან მუშაობდა და როგორც ხშირად ხდება, შვილის შეკითხვაზე პასუხის გაცემის დრო არ ჰქონდა.

მე მგონი, ეს რუბრიკა თქვენ გაძღვეთ იმის საშუალებას, რომ თქვენ დაუსვით შეკითხვები მათ, ვისაც ის ეკუთვნის და უკეთეს შემთხვევაში, პასუხიც მიიღოთ.

თქვენ მსჯელობთ ისეთ საკითხზე, როგორიცაა კორუფცია, ეკოლოგია, სამართალდარღვევა ... მაინც რა არის საქმე, რომ კორუფცია არ იყოს?

მოსწ. - კანონი რომ კანონობდეს.

მოსწ. - სამაგალითოდ უკანონობის რამდენიმე შემთხვევაც რომ დაისაჯოს და დაუსჯელობის სინდრომი არ ბატონობდეს.

ზ.ჭ. - დავუშვათ, ასეთი შემთხვევა. ერთი სახლის მცხოვრებნი წლების განმავლობაში ნაგავს ყრიან ერთ ადგილზე, მაგრამ არა ბუნკერში, რაც განსაკუთრებით ანუხებს ერთ ოჯახს, რომელიც ყველაზე ახლოს ცხოვრობს. ეს ამბავი სხვა ოჯახებს არ ანუხებს, ის ოჯახი კი მართლაც ვერ აგვარებს ამ საკითხს და არც საჩივრის შეტანა უნდათ, ჩამშვება არ უნდათ. როგორ ფიქრობთ, თუ ერთ ეზოს არ შეუძლია.

საკუთარი სანიტარიის ორგანიზება რომ გავაგრძელოთ, მაშინ ქალაქსაც არ შეუძლია სისუფთავის საკითხის ორგანიზება და მაშინ როგორ უნდა მოვთხოვთ ხელისუფლებას სხვადასხვა საკითხის მოგვარება?

ეს ხომ ერთი საზოგადოებაა... როგორ ფიქრობთ, რაა ის საერთო სიტყვა, რაც საზოგადოებას ქმნის, ანებებს?

მოსწ. - კონცენტრაცია

მოსწ. - ურთიერთგაგება

მოსწ. - ერთი აზრი

მოსწ. - ურთიერთპატივისცემა

მოსწ. - ერთმანეთის ნდობა

მოსწ. - ერთიანობა

ზ.ჭ. - რა თქმა უნდა, ნდობა - ეს არის ნებო. მოდი, ვნახოთ ვის ვენდობით ჩვენ?

მოსწ. - ენდობი მეგობარს... მშობელს...

მოსწ. - თვალდახუჭული მხოლოდ მშობელს, სხვას არა...

მოსწ. - თუ არავის არ ენდობი, ეს დაავადებაა... მოსწ., - ადამიანის ნდობა უნდა მოიპოვო... მეორე ადამიანი კარგად უნდა გამოსცადო, რომ ენდო...

ზ.ჭ. - მაგალითად, სამხრეთ იტალიაში, სიცილიაში ნდობა მხოლოდ ნათესაობას შორის არსებობს, უცხო არ ენდობიან. სიცილიაში, ცნობილია, რომ მძლავრი კორუფციაა გამეფებული. რა თქმა უნდა, მშობელს ვენდობით, მეგობარსაც, მაგრამ მოდი ასეთ მაგალითზე ვიმსჯელოთ: მეგობარმა გაგანდოთ, რომ მოიპარა, როგორ მოიტყვევით? არ დაგვიწყდეთ, რომ კანონი მართლ და მანაშავეს კი არა, დამნაშავეს დამფარავსაც სჯის.



მოსწ. - თუ გენდო, არ უნდა გასცე... მოსწ. - მე არ ვეტყვი არავის... მოსწ. - მას შეეძლო არ ეთქვა, მაგრამ თუ მითხრა, რა თქმა უნდა, არ გავთქვამ", მოსწ. - უნდა გამოასწორო შენი მეგობარი, ჩამშვებით კი არ უნდა ჩაუშვა... მოსწ. - ეცადე, რომ აუხსნა, ერთი შეცდომა ყველას მოსდის...

ზ.ჭ. - კარგი, შენს მეგობარს ასოცით მიჰყავდა მანქანა იქ, სადაც სამოციტ უნდა ევლო. ადამიანი გაიტანა. შენ მის გვერდით იჯექი, რას იტყვი, სამოციტით მიჰყავდაო, თუ იტყვი რომ სიჩქარე გადაჭარბებული იყო?

მოსწ. - თუ მეგობარია და ვერ დავაჯერე, რომ თვითონ თქვას, მე არ ვიტყვი... მოსწ. - თუ ვიცი, რომ მას მეტი აქვს დასაკარგი, მირჩევნია მისი დანაშაული მე ავიღო თავზე... მოსწ. - ყველაფერს გავაკეთებ, რომ არც ის დაზარალდეს და მეც არ ჩაუშვა მეგობარი... მოსწ. - მეგობარს უნდა ურჩიო, რომ თვითონ

ალიაროს და თუ ვერა, მაშინ ჩაუშვებ -ადამიანი მოკვდა, და თანაც ერთ დაფარულ დანაშაულს მეორე მოჰყვება და ასე გვენგერევა ქვეყანა... მოსწ. - მე ვერ ჩაუშვებდი და თუ ვინმე სხვა აღმოჩნდებოდა დამნაშავე და ის იტყოდა, რა ვქნა... მოსწ. - მე ვიცი, რომ ჩემს დიდ ბაბუას დახვრეტა ემუქრებოდა იმიტომ, რომ მან მეგობარი არ ჩაუშვა, მაგრამ მეგობარმა თავისი ალიარებით იხსნა... მე მეგობარს არ ჩაუშვებ.

ზ.ჭ. - თქვენ იცით, რომ თქვენი ოჯახის წევრმა, მაღალი თანამდებობის პირმა მოიპარა ათი მილიონი დოლარი. ათი მილიონია საჭირო, რომ თბილისი ზამთარში განათებული იყოს. მან ამ ფულით "მაიბახიც" იყიდა... რას იზამთ, ჩაუშვებთ?

მოსწ. - ვაიძულებ, რომ დააბრუნოს...არ ჩაუშვებ. მოსწ. - მამაჩემმა რომ ასეთი მანქანა იყიდოს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ვიფიქრებ, რომ მოპარული ფულია, მაგრამ ვერ ჩაუშვებ...

ნარიღები მთავრობას

პროექტის ფორმატში ქალაქის მერთან ზურაბ ჭიაბერაშვილთან შეხვედრას უახლოეს მომავალში შემოგთავაზებთ.



მარკა ამწველამულის ფოტოები

მოსწ. - მე დავარწმუნებ, რომ ის თანამდებობის პირია და მაგალითს უნდა იძლეოდეს, ვერ ჩაუშვებ... მოსწ. - ჯერ ვურჩევდი და თუ არ გაიგებდა, მე რე ჩაუშვებდი... მოსწ. - დარწმუნებული არა ვარ, რომ დაბრუნებული ფული კანონიერად დაიხარჯება და სხვა არ ჩაიჯიბავს, ამიტომ, რაღა სხვამ, მე მოვიხმარ... მოსწ.- როცა საქმე შენგება, იქ თვალებს ხუჭავ. მეც დავხუჭავდი...

ზ.ჭ. - თქვენს შორის, ჯერჯერობით, ერთადერთი ადამიანი, ვისაც უკვე შეუძლია ნორმალურ საზოგადოებაში ცხოვრება, ის არის, ვინც ორივე შემთხვევაში თქვა "ჩაუშვებო". ჩვენ დავინყვით საუბარი კანონის უზენაესობით და დაუსჯელობის სინდრომით. მაგრამ, საკმარისია, რომ ჩვენ შეგვეხოს, მსჯელობის დროსაც კი მხდალები ვხდებით და უარგვეფთ ჩვენივე პრინციპებს.

რა უფრო დიდი გამბედაობაა - შენ შეგქვლოს ნებისმიერ შემთხვევაში კანონის მხარეს ყოფნა, თუ ფიქრი, რომ აი, ახლა გამონაკლისი დავუშვათ, გამოვასწოროთ ეს კაცი და ხვალდან კანონი აღვასრულოთ. ჩვენი საზოგადოების უბედურება ის არის, რომ საკუთარ სანათესაოზე ძნელია კანონის აღსრულება.

აი, ერთმა რომ თქვა, რომ რაღა სხვამ მოიპაროს, ბარემ მე მოვიხმარო, ეს ყველაზე მეტად დამანგრეველია.

კანონის წინაშე ყველა თანასწორია, "ჩამშვების" გაბედულება კი ყველას არა აქვს.

რა თქმა უნდა, მეგობრობა საზოგადოების ფუნდამენტია, ისევე, როგორც კანონიერება და მათ შორის არჩევანი დილემაა, მაგრამ როცა ვამბობთ კანონის უზენაესობა, უნდა გვეჯეროდეს კანონის უზენაესობის და უნდა ვიმოქმედოთ ამავე პრინციპით. ეს არის განვითარებული საზოგადოების ფუნ-

დამენტი. შეკითხვა: არსებობს საქართველოში ადამიანი, რომელიც არ იპარავს და კანონიერად ცხოვრობს კარგად?


ზ.ჭ. - თქვენი თაობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაგალითები და თქვენც მეკითხებით, მაჩვენეთ ადამიანი, რომელიც არ იპარავს და კარგად ცხოვრობს. საბედნიეროდ, არიან ასეთი ადამიანები: ნარმატებული ხელოვანები, სპორტსმენები, კონკურსებში გამარჯვებულები...

შეკითხვა: თუ არა ვარ განსაკუთრებული, მაშინ კარგად ვერ უნდა ვიცხოვრო?

ზ.ჭ. - მე რომ ვსწავლობდი სკოლაში, კლასში ჩანდნენ ჩინებული მოსწავლეები-ხუთოსნები და უჩინონი-ოროსნები, დანარჩენი ოცი მოსწავლე "სათვალავში" არ იყო, იყვნენ სადღაც შუაში. ნორმალურ საზოგადოებაში სწორედ შუა ფენით განისაზღვრება ყველაფერი. შესაძლოა, ჩვენმა ხუთოსანმა დანიელ ხუთოსანს აჯობოს, მაგრამ მთელი კლასი დანიურ კლასს ვერ აჯობებს, როგორც გუნდი. აი ეს არის საზოგადოება. ერი რომ შედგეს, ნებო უნდა გვექონდეს და ნებო თუ არ გვაქვს ერთი სახლის მოზინადრების დონეზე, მაშინ ერის დონეზე მით უფრო არ გვექნება.

თქვენს ასაკშიც და რამდენიმე წლის წინაც, მე თქვენნაირ პასუხს გავცემდი აქ დასმულ შეკითხვებს. თუნდაც ბოლო ორ-სამ წელსინადმი მე გავიზარდე როგორც მოქალაქე და როგორც პიროვნება, ასევე საზოგადოებაც იზრდება. ზრდა ჯერ არ დამთავრებულა.

როგორ ვიხსნათ თავს



„დინაო, ნიქასლი“

ძნელი, მაგრამ არა შეუძლებელი



პლაზმური ქაველით შორეული პლანეტებისკენ



B3

B4

B6

არჩვენები ახორიკაში

სახლი, სადაც პრეზიდენტი ცხოვრობს

პენსილვანიის აგენიუს 1600-ე წლის ვაშინგტონის სიამაყეა. ამ მისამართზე გადაშლილ რეზიდენციას თეთრი სახლი ჰქვია და აგენიუსზე მოსიერულ თითოეულ ამერიკელს საშუალება აქვს გვერდით ჩაუაროს ეზოს, რომლის იქითაც ქვეყნის პირველი პირი ცხოვრობს.



თუმცა, ეს ყველაფერი არ არის. თეთრი სახლი ერთგვარი მუზეუმიცაა - ამერიკის პოლიტიკისა და ამ პოლიტიკის მწარმოებელი ლიდერების ცხოვრების ამსახველი; მეტიც, ის უნიკალური მუზეუმიცაა - მაშინ, როცა ამ კედლებში ამერიკული პოლიტიკური ისტორიის შექმნა ახლაც გრძელდება, პარალელურად 1600-ე სახლი ცნობისმოყვარე სტუმრებს იღებს. ყოველდღიურად გიდეებს რეზიდენციაში დაახლოებით 6 ათასმდე მნახველი შეჰყავთ.

თეთრი სახლი დაბალსართულიან და ნესტიან, მაგრამ მაინც მყუდრო და საყვარელ ვაშინგტონში არქიტექტურული თვალსაზრისითაც გამოირჩევა. ალბათ, პირველ რიგში, იმიტომ, რომ ძალიან თეთრია. ამ ქათქათა ფასადის შესანარჩუნებლად დაახლოებით 570 გალონ საღებავს ხარჯავენ.

მისი აშენება 1793-1801 წლებში ჯეიმს ჰობანს მიანდეს. 1814 წელს რეზიდენცია დაინგა. 1824-1829 წლებში კი მას გალერეებიც მიუმატეს.

ახლა თეთრი სახლის არქიტექტურის სტატუსიკა ასეთია: 6 სართული, 132 ოთახი, 32 აბაზანა, 412 კარი, 147 ფანჯარა, 28 ბუხარი, 7 კიბე და 3 ლიფტი. თეთრი სახლის სამზარეულოში სრული განაკვეთით მუშაობს ხუთი მზარეული, რომელთაც 140-კაციანი სადილის მომზადება შეუძლიათ, უბრალო საუზმით კი ათასამდე სტუმარსაც იოლად გაუმასპინძლებიან. თეთრი სახლს, ასევე, აქვს ჩოგბურთის კორტი, სარბენი ბილიკი, საცურაო აუზი, კინო-თეატრი, ბილიარდის დარბაზი და ბოლინგის ბილიკები.

ფერენციებისთვის. მეტიც, ერთხელ პრეზიდენტმა უილროუ უილსონმა იქ კინოთეატრი მოაწყო, ფაკლინ კენედი კი იქ წარმოდგენებს მართავდა.

ბუმის პირობებში აღმოსავლეთ ოთახში მნიშვნელოვან საკანონმდებლო აქტებს ეწერება ხელი. თუმცა, იქვე პრეზიდენტსა და პირველ ლედის დოუ ელინგტონის ხელოვნების

სკოლის მოსწავლეებიც მიუღიათ. დიპლომატთა ოთახი: 1939 წლის იენისის ცხელ დილას პენსილვანიის აგენიუსზე ორი დიალიზური გაჩერდა. მანქანებიდან პრეზიდენტი რუხველტი, პირველი ლედი ელინორი, პრიტანეთის მეფე ჯორჯი და დედოფალი ელისაბედი გადმოვიდნენ. მათ სამხრეთი გალერეა გაიარეს და რამდენიმე

ამ მყუდრო და ლამაზ ოთახს ფრანკლინ რუხველტიც დიდ პატივს სცემდა. სწორედ აქედან გადაიცემოდა მისი ცნობილი რადიომიმართვები, რომელიც "ბუხრის-პირა საუბრებით" იყო ცნობილი.

აქაურობა მოსწონთ ცოლ-ქმარ ბუშებსაც. ისინი დიპლომატთა ოთახში საპატიო სტუმრებსაც ხშირად იღებენ, მაგალითად, პოლონეთის პრეზიდენტს ალექსანდერ კვასნიევსკისა და მის მეუღლეს იოლანტას.

რუხების ოთახი: ის დიპლომატთა ოთახის გვერდით მდებარეობს. მეორე მსოფლიო ომის წლებში რუხველტი მას ეწ. "ომის ოთახად" იყენებდა. დეტალური და დიდი რუხები პრეზიდენტს ნათელ წარმოდგენას უქმნიდა ომის პროგრესირების შესახებ. შემდეგ წლებში რუხების ოთახი პრეზიდენტის ანდა პირველი ლედის პირადი მისაღები ოთახი იყო. ის ინგლისელი ავეჯის დიზაინერის თომას ჩიპენდილის სტილშია გადამწყობილი და მნახველზე დეკორაციულია ახდენს.

მოიქროვილი/ოქროს ოთახი: ოფიციალური შეხვედრების დროს, აქ იკრიბებიან ხოლმე პირველი ლედი და მისი სტუმარი ქალები. აქვე ინახება თეთრი სახლის ოქროსა და მოიქროვილი ვერცხლურის კოლექცია, რომელიც თეთრი სახლს 1956 წელს მარგარეტ ტომსონ ბიდლმა გადასცა.

ფაიფურის ოთახი: ისიც დიპლომატთა ოთახის გვერდით მდებარეობს და თეთრი სახლის ფაიფურის უმშვენიერეს კოლექციას ინახავს. აქაა წარმოდგენილი ნენსი რეიგანის ნითელი და ოქროსფერი ჭურჭელი და ბეს ტრუმანის მომწიფი-მოიქროსფრო ფაიფურიც.


ამ ოთახს უნიკალურობას სძენს ის გარემოება, რომ კოლექციაში თითქმის ყველა პრეზიდენტისა წარმოდგენილი. ნითები ქრონოლოგიურადაა დალაგებული და განსაკუთრებით ჭრის თვალს ქალებს.

მწვანე ოთახი: მას სახელი ჯონ ქუინსი ადამსმა დაარქვა, რადგან თომას ჯეფერსონის დროს იატაკი მწვანე ხალიჩით იყო დაფარული. ამ ოთახს მრავალი მწვანეა ახსოვს. 1862 წლის 24 თებერვალს გარდაიცვალა აბრაამ ლინკოლნის ვაჟი უილი, რომელიც მწვანე ოთახში დასვენეს, პანაშვიდი კი იქვე, აღმოსავლეთ ოთახში გადაუხადეს. სამიოდ წლის შემდეგ გრადაცივალა აბრაამ ლინკოლნიც. მისი პანაშვიდიც აღმოსავლეთ ოთახში გაიმართა.

მწვანე ოთახში კალმის ერთი მოსმით მოანერა ხელი ჯეიმს მედისონმა ქვეყნის პირველი ომის დეკლარაციას.

ნითელი ოთახი: ეს ოთახი ასე 1840-იან წლებში მოინათლა. პატარა ზომისა და გამორჩეული ფერის გამო, ის პრეზიდენტებისა და პირველი ლედების ფავორიტი მალე გახდა. მეტიც, ის სოციალური გარდაქმნების ეპიცენტრადაც იქცა. 1933 წელს, მეუღლის ინაუგურაციიდან მალევე, ელინორ რუხველტმა სწორედ აქ გამართა თავისი პირველი პრესკონფერენცია რეპორტიორი ქალებისთვის. რადგანაც პრეზიდენტის პრესკონფერენციებს მანამდე ქალებს არ ასწრებდნენ, პირველი ლედის ამ ნაბიჯმა სოციალური ტაბუ მოხსნა და თეთრი სახლის კარი ქალი ჟურნალისტებისთვისაც გაიღო. ეს ოთახი განსაკუთრებულად უყვარდა ჟაკლინ კენედისაც...

აშშ პირველი პირების რეზიდენციის ისტორია



Sources: The White House, White House Historical Association, Global Security © GRAPHIC NEWS

